მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

სექტემბერი (თებერვალ) 15-30
№17 (326)
(5771)
2010
ფასი 50 თეთრი

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტის, შიმონ პერესის მიმართვა ებრაული დიასპორისადმი 5771-ე ებრაულ ახალ წელთან დაკავშირებით



ახალი წლის დამდეგს, მშვიდობის იმედი უფრო ხელშესახები ხდება. როცა ჩვენ ვფიქრობთ ვაშინგტონის შეხვედრაზე, ვლოცულობთ, რომ ეს იყოს საწინდარი ისრაელსა და პალესტინას შორის ისტორიული სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერისა და მოიტანოს სიმშვიდე, კეთილდღეობა და უსაფრთხოება რეგიონის მცხოვრებლებისათვის.

ებრაელმა ხალხმა დიასპორასა და ისრაელში უკეთესი მომავლის იმედით, ერთად უნდა იღვაწონ, რათა მომავალ თაობებს ჰქონდეთ უფრო ნათელი ხვალინდელი დღე. ამ მიმართებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ძმური სულისკვეთება და მჭიდრო კავშირი ისრაელთან კვლავ დარჩეს დიასპორის ებრაელი ახალგაზრდობის ებრაული და სიონისტური განათლების ნაწილად. მე მჯერა, რომ პირველადი გამოცდილება, რომელიც მიიღწევა ისრაელში ვიზიტებით, უდიდეს როლს ასრულებს ამ მიზნის მიღწევაში.

პერიოდი, როცა მცდელობები ისრაელის, როგორც ებრაული სახელმწიფოს დელეგიტიმაციისა არის უშედეგო. ბუნებრივია, რომ ჩვენ - ისრაელში და ებრაელი ხალხი მთელს მსოფლიოში, ერთობლივად შევეცდებით ხელი შევუშალოთ ამ მცდელობებს. ჩვენ მობილიზება უნდა გავუკეთოთ ჩვენს ძალებს, რათა დავუპირისპირდეთ სიცრუეს და ხაზი გავუსვათ ათ მცნებაზე დამყარებულ იმ მორალურ და ეთიკურ ღირებულებებს, რაც ებრაელ ხალხს გააჩნია საუკუნეების განმავლობაში და რაც შეადგენს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის საყრდენს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ვიდგეთ საერთაშორისო საზოგადოებრიობის გვერდით, ფანატიკოსი ლიდერების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც ბირთვული იარაღით არიან შეიარაღებულნი, უარყოფენ ჰოლოკოსტს და ისრაელის სახელმწიფოს განადგურებისაკენ მოუწოდებენ.

მსოფლიოში, სადაც მეცნიერება და ტექნოლოგია ძალიან ფასობს, ისრაელი კვლავ მოწინავე ხაზზეა.

მომავალ წელს ჩვენი მისია გახლავთ ერთობის გაძლიერება იმ საკითხებში, რომელსაც გავლენა აქვს თითოეული ჩვენგანის ბედსა და მომავალზე. ჩვენ ჰარმონიულად უნდა ვიღვაწოთ და მივაღწიოთ შეთანხმებებს დიალოგის მეშვეობით. სოლიდარობა, მეგობრობა, ტოლერანტობა და ურთიერთგაგება არის ძლიერი და უსაფრთხო ოჯახის საფუძველი. ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა დავუშვათ, რომ უთანხმოებამ გაგვხლიჩოს. ჩვენ ყველამ უნდა მივუძღვნათ თავი ებრაელი ხალხის კეთილდღეობას.

ამ სულისკვეთებით, მე მინდა საუკეთესო ვუსურვო ჩვენს ხალხს მთელს მსოფლიოში, დაე, ყოფილიყოს მშვიდობის, სიხარულის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის წელი.

შანა ტოვა ვე მეთუკა.

შიმონ პერესი

სუქოთი

ძველი ებრაული გადმოცემა მოგვითხრობს, რომ უკანასკნელი მსოფლიო ომი მოხდება სუქოთის დღესასწაულის დღეებში. მთელი მსოფლიოს შემძრავ ამ ომს დაერქმევა გოგისა და მაგოგის ომი. ამავე გადმოცემის მიხედვით, დედამიწაზე დამყარდება მარადიული მშვიდობა და ამ ომის შემდეგ აღსრულდება ისაიას წინასწარმეტყველება, რომ ხალხი არ აღმართავს მახვილს ხალხის წინააღმდეგ და აღარ ისწავლის ომს, და რომ მოხდება მთლიანი შვილა ისრაელი ხალხისა. ამიტომ სუქოთის შაბათს კითხულობენ სპეციალურ თავს იეხისკიელიდან /38; 39/, „და იქნება ის დღე, როცა მოვა გოგი ისრაელის მიწაზე... იმ დღეს მოხდება დიდი ძვრა ისრაელის მიწაზე... და გაეგზავნი ცეცხლს მაგოგის მიწაზე... და გავეგზავნი ცეცხლს კუნძულების მცხოვრებლებს, რომლებიც დაუდევრად ცხოვრობენ და გაიგებენ, რომ მე ვარ უფალი. მე მოვავლენ ზეს წმინდა სახელს ზეს ხალხს შორის, ისრაელის ხალხს შორის“.

ღრმა სულიერი რწმენით ველით ზვენ იეხიზკიელის წაინასწარმეტყველების ახდენას: „და წამოგიყვანთ ხალხებისაგან, მოგაგროვებთ ყველა ქვეყნიდან და მოგიყვანთ თქვენს მიწაზე. /34; 24/. და მოგცემთ თქვენ ახალ გულს, და ახალ სულს“ /36;26/.

ავსიტყვაობის თაობაზე:

„ენა ბულის ფიზიკური ნაჯლის ხმაა.“
ხაფეც ხაიმი

დავით ჰამელეხი:

„ ნეტარ არს კაცი, რომელიც არ მისდევს ბიწიერთა რჩევას და ცოდვილთა გზას არ ადგას და არ ზის ავყიათა წრეში“. (1:1)

„შენ დაღუპავ სიცრუის მთქმელს“. (5:7)

„მისი პირი სავსეა წყევლით, თაღლითობით და სიცრუით; მისი ენა სიმრუდე და უკუღმართობაა“. (10:7)

„ტყუილს ელაპარაკებიან ერთმანეთს,
ქლესა ბაგეებით ორპირულად ლაპარაკობენ,
მოსპობს გ. . . ნი ქლესა ბაგეებს,
მრავლისმეტყველ ენებს.

რომელნიც ამბობენ: „ჩვენი ენებით ვიმძლავრებთ,
ჩვენთანაა ჩვენი ბაგეები: ვინ არის ჩვენი ბატონი?“ (12:3-5)

„ვინც არავის გაჭორავს, მოყვასს ცუდს არ გაუკეთებს და აუგს არ იტყვის ახლობელზე“ (15:3)

„დაე, დამუნჯდნენ ცრუ ბაგეები,
რომელნიც უხეშად ლაპარაკობენ“. (31:19)

„შეიკავე შენი ენა სიბოროტისაგან
და ბაგენი შენნი - ცბიერი სიტყვებისაგან“. (34:14)

„რომ არ შევცოდო ჩემი ენით, ალიკაპს ავიკრავ პირზე“. (39:2)

„ბოროტებას ფიქრობს შენი ენა, როგორც გალესილი სამართებელი, მქმნელი სიყალბისა“. (52:4)

„გიყვარს ყოველგვარი ცილისწამება, ენა მზაკვარი;
ამიტომ მოგთხრის ღ...ი სამუდამოდ“. (52:6)

„აგერ წარმოთქვამენ თავიანთი პირით
მახვილი აქვთ ბაგეებში“. (59:8)

„მათი ცოდვა მათთა ბაგეთა ნალაპარაკებია;
და გაებან მახეში თავიანთი ქედმაღლობისათვის“. (59:13)

„რომელთაც ენა მახვილივით გალესეს,
მოზიდეს თავიანთი მშვილდი - სიტყვა მწარე“. (64:4)

„საკუთარი ენა დაამარცხებს მათ;
ყველა მათი მხილველი თავს გაიქნ-გამოიქნევს“. (64:9)

„გ...ნო, იხსენი ჩემი სული ცრუ ბაგეთაგან, მზაკვარი ენისაგან“. (140:4)

„მოილესეს ენები, ვითარცა გველმა,
ასპიტის შხამია მათ ბაგეებს ქვეშ “. (120:2)

„დაუყენე, გ...ნო გუშაგი ჩემს პირს,
დაცვა - ჩემს ბაგეებს.

„არ გადაახვევინო ჩემს გულს ავი სიტყვის მხარეს - ჩასადენად საქმეთა ბოროტთა“. (141:3-4)

შლომო ჰამელეხი:

„სიკვდილ-სიცოცხლე ენის ხელშია“. (მიშლე 18:2)

„ვინც თავის ენა-პირს უფრთხილდება,
უბედურებისგან იხსნის სულს“. (მიშლე 21:23)

„ენატანიას სიტყვები გულგამგმირავია
და ისინი გულ-მუცელს დაივლიან.“ (მიშლე 18:8)

მაარალი, აანალიზებდა რა ავსიტყვაობას, გვიხსნიდა, რომ იგი სახიფათოა ებრაელთა ერთიანობისათვის.

ვილნოელი გაონის წერილებიდან:

მთავარი გზა მომავალი სამყაროს შეძენისა - არის კონტროლი სიტყვებზე. ეს უფრო დიდია, ვიდრე თორის სწავლა და მცნებების შესრულება, რამეთუ ბაგე წმიდათა წმიდაა.

იალკუტ შიმონია (40):

შემოქმედმა უთხრა ანგელოზს: გაანადგურე პირი მისი („რა ცუც პე“), ვინც ცუდად ლაპარაკობს ჩემს შვილებზე.

თანა დევეი ელიაჰუ (1,18:64):

„ცოდვილის ავსიტყვაობა დიდების ტახტამდე აღწევს“.

თალმუდი იერუშალაიმი (პეა 1:1):

„ისევე, როგორც თორის სწავლა ტოლფასია ყველა მცნების შესრულებისა, ასევე ავსიტყვაობა - ყველა დანარჩენი ცოდვისა ერთად“.

რაბი შიმონი ბრძანებს:

„ყველაფერს პატიებს გ...ნი, გარდა ავსიტყვაობისა“.

რაბი რაფაელ ჰამბურგელი წიგნში „მკურნალობა ენისა“ წერს: „იმისათვის, რომ უზრუნველჰყო მუდმივი ნეტარება, განერიდე ავსიტყვაობას“.

„როგორც იქცევა ადამიანი და განსჯის სხვებს, ასევე განსჯიან მას“.

როშ-ჰაშანა 17ა:

„ვინც არაა მკაცრი (წყენის მიმყენებლისადმი), მას ყველა დანაშაულს აპატიებენ.“

სეფერ ხარედიმი წერს (66:39):

„ვინც მოყვასს არაკეთილგანწყობით სჯის
უწმინდურ ძალებს უკავშირდება“.

ვილნოელი გაონი (მიდრაშიდან):

„ადამიანის კეთილი საქმეები და თორის ცოდნა (სწავლა) ვერ აანაზღაურებს იმ მიზანს, რომელსაც ადამიანი სიტყვით სჩადის.

„მივიღოთ „ლაშონ ჰარა“, როგორც სიცრუე, ნიშნავს შევიძინოთ დიდი დამსახურება“.

„განდიდებულნი საუბრობენ იდეებზე,
საშუალონი - საგნებზე,
დაცემულნი ადამიანებს განსჯიან“.

„სიყვარული ისრაელი ერისა - ესაა წყარო, საიდანაც გამომდინარეობს „შმირათ ჰალაშონის“ (ავსიტყვაობისაგან თავის შეკავების) კანონები.

ამბობენ ბრძენები (იერუშალაიმი პეა 1:1)

ავსიტყვაობის სასჯელი აქ არის, მაგრამ მთავარი ნებისმიერს მომავალ სამყაროში ელოდება.“

ნათქვამია: გული პირით წერს. პირი კი გამოთქვამს, რაც ადამიანს უდევს გულში.

პირი, რომელიც აფრქვევს შხამს, მიგვანიშნებს გულზე, რომელიც არის ბოროტი.

„ბაგეები, რომელთაც ჭუჭყისაგან იცავენ, მსგავსია წმინდა ტაძრის ჭურჭლისა“.

თითოეულ ებრაელს ტუჩების მოძრაობით შეუძლია სამყარო სიწმინდით აავსოს“.

„ავსიტყვაობის მოყვარული პიროვნება იქცევა ადამიანის დანაშაულის ბრალმდებელ მოწმედ. ის უზრუნველჰყოფს ს...ა...ტ...ა...ნ...ა...ს ბრალდების მასალით, საქმის აღსაძრავად“.

„ავსიტყვაობა ბადებს ცოდვების ურიცხვ რაოდენობას. ნებისმიერი სიტყვა, წარმოთქმული ბოროტი ენით - არის ცალკე ცოდვა, ავსიტყვაობა მთელი თავისი სისრულით“.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა ადამიანისათვის არის - არ შესცოდოს ბაგეებით.

ავსიტყვაობა ადამიანს არა მარტო დამსახურებას ართმევს, მის მიცვებსაც (კეთილ საქმეებს) ცოდვად აქცევს.

ადამიანი, რომელიც ავსიტყვაობს, კარგავს ყველა დამსახურებას, ისინი გადადიან იმ ადამიანებთან, ავსიტყვაობით რომ მიაყენეს ზიანი - ესაა კომპენსაცია მიყენებული ტკივილისათვის“.

სწორ მეტყველებას აქვს ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა. ის თვით ჩვენი სიცოცხლეა.

ავი, გულის მომკვლელი სიტყვები ბოროტი ადამიანისთვისაა დამახასიათებელი.

ადამიანი, რომელიც იცავს თავს ავსიტყვაობისაგან ყველა ადამიანთან ურთიერთობისას, აუცილებლად ხდება უკეთესი, კონცენტრირებულია არ მიაყენოს ტკივილი სხვას და თანდათან ეს ხდება მისი ხასიათი, მისი ცხოვრების სტილი.

ებრაელი ვალდებულია გაურბოდეს ორაზროვან მეტყველებას, რომელიც გამოიწვევს ვინმეს შეურაცხყოფას.

შემოქმედი გვექცევა ისე, როგორც ჩვენ ვექცევით სხვებს.

ადამიანი, რომელიც იკავებს თავს ცუდი გამონათქვამებისაგან, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი ლოცვა ღირებულია ზეცის წინაშე.

კანონები ავსიტყვაობისაგან თავის შეკავებისა, ესაა საშუალება, გახადოს ცხოვრება მშვიდობიანი, ჰარმონიული და გამორჩეულად ეფექტური.

სწორი მეტყველება - უსაზღვრო რეზერვია დამსახურებისა, რომელიც გვჩუქნის: ჯანმრთელობას, ბედნიერებას და მშვიდობიან ცხოვრებას.

ადამიანი ინარჩუნებს თავის სტატუსს, ქმედობის გვირგვინს, თუკი სწორად იყენებს თავის მეტყველებისუნარს.

„კეთილი ლაპარაკი - ესაა ხესედის (გულმოწყალების) ფორმა; ისევე სუფთა და უბრალო, როგორც მიცვა (მცნება) ავადმყოფის მონახულებისა, მშიერის დაპურებისა და გაჭირვებულის შეფარებისა. დაემსგავსო შემოქმედს სიკეთის ამ ფორმით კეთებით, არაფრით არაა შეზღუდული. ის არ ითხოვს ფულს და დროს. ეს კეთილი საქმე შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი საუბრისა თუ დიალოგისას, ყოველდღე“.

მეფე დავიდის საგალობელნი 4:15

„ერიდე ბოროტებას და ჰქმენ კეთილი“, რათა ჯილდო მცნებების შესრულებისათვის სამუდამოდ დარჩეს ჩვენთან, აუცილებელია მოვერიდოთ „ლაშონ ჰარას“, ავსიტყვაობას“.

შეადგინა ეუეუნა გაზნელი-ბდინარაძემ

ბესო მიხელაშვილი — 85

ქართული ებრაელობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი — ბესო მიხელაშვილი 85 წლისაა.

ბესო მიხელაშვილი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში თბილისის ებრაელობის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ. მის სახელთან დაკავშირებულია ბევრი ეროვნული მნიშვნელობის საქმე, რაც ქართველი ებრაელობის ღირსების ამაღლებას ემსახურებოდა. მისი საქმიანობა, მისი საზოგადოებრივი სახე, სწორედ რომ ღირსებას მატებდა ქართველ ებრაელობას იმ გარემომცველ საქართველოში, რომელშიც ცხოვრება უხდებოდა.

თითქმის ორი ათეული წელია, რაც ბესო მიხელაშვილი ისრაელში ცხოვრობს. ამ ხნის განმავლობაში ამ პიროვნებამ გამოაკლინა ნიჭიერების კიდევ ერთი ჭლასტი — რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ადამიანმა, რომელიც მთელი ცხოვრება ბიზნესს ეწეოდა, დაწერა მთელი რიგი ნარკვევებისა, რომელშიც დაკვირვებული ისტორიკოსის ალღოთი აღწერა თავისი დროის ქართველი ებრაელობის ეოფა. ეს ნარკვევები უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს იმ ადამიანებს, რომლებიც საქართველოს ებრაელობის ცხოვრებას შეისწავლიან. ეს ნარკვევები ისრაელში გამომავალ ჟურნალ „დროშასა“ და სწორედ ჩვენს გაზეთში — „მენორაში“ დაიბეჭდა.

გაზეთი „მენორა“ ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მიესალმება ბ-ნ ბესო მიხელაშვილს, უსურვებს კვლავაც მხნეობას.

ლეხაიმ, ბატონო ბესო!

ქართველი ებრაელობა შინ და გარეთ

ისრაელის პრეზიდენტი საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესს ესაუბრება

მარცხნიდან: დავით მირილაშვილი, გაბრიელ მირილაშვილი, შიმონ პერესი, ალექსანდრე მაშკევიჩი

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის აქტიური საქმიანობა ისრაელის საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში ექცევა. ამის დასტური ისიც გახლავთ, რომ 1 სექტემბერს ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა მიიღო სემკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გაბრიელ მირილაშვილი, ვიცე პრეზიდენტი ისაკ მამისთვალოვი და სხვ.

შეხვედრაზე გაიმართა საუბარი სემკ-ის საქმიანობაზე, იმ პერსპექტივებზე, რაც კონგრესს აქვს დასახული სამომავლოდ.

როგორც ცნობილია, სემკ-ი მსოფლიო საერთაშორისო ებრაულ ორგანიზაციებთან ინტეგრირების გზას ადგას, ამიტომ გახდა იგი ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის წევრი. ისრაელის პრეზიდენტთან შეხვედრას ესწრებოდა და საუბარში მონაწილეობდა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი ალ. მაშკევიჩი.

გაბრიელ მირილაშვილმა და იოსკა მამისთვალოვმა ისრაელის პრეზიდენტს გადასცეს ძვირფასი ქვებით მოჭედილი მედალი — სამახსოვრო საჩუქარი საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესისგან.

გენერალური საბჭოს სხდომა

5-7 სექტემბერს კიევში ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს სხდომა გაიმართა.

გენსაბჭოს წევრებმა მოისმინეს უკრაინაში ისრაელის ელჩის **ზინა კალაი კლაიმანის**, საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლების მისალმებები, განიხილეს ევრ-აზიის ებრაული კონგრესის პრეზიდენტის **ალ.მაშკევიჩის** ინფორმაცია 5770 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე, მოისმინეს **ანატოლი კოდოლსკის** მოხსენება დსთ-ს ქვეყნებში ჰოლოკოსტის შესწავლის, **ვიაჩესლავ ლიხაჩევის** მოხსენება ევრ-აზიის ქვეყნებში ანტიისრაელური და ანტისემიტური გამოხტომების, ინფორმაცია ეაე კონგრესის მოქმედების არეალის გაზრდის თაობაზე და მრავალი სხვა საკითხი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ალ.მაშკევიჩის წინადადებას იმასთან დაკავშირებით, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ისრაელის დელეგიტიმაციის წინააღმდეგ. ამ ბოლო წლებში რიგ სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების ლიდერთა გამოსვლებმა განსაკუთრებული ანტიისრაელური ხასიათი მიიღო. ამას კი წინ უნდა აღუდგეს ყველა ებრაული ორგანიზაცია, თითოეული ებრაელი მოღვაწე. ეაე კონგრესი ამ მიმართულებით სახავს მთელ რიგ ღონისძიებებს. საინტერესო გახლდათ რეგიონებისა და საერთაშორისო ებრაელი ორგანიზაციების წარმომადგენელთა გამოსვლები, რომლებმაც ისაუბრეს იმაზე, თუ რა მდგომარეობაა მათ რეგიონებში.

საქართველოს ებრაელობის ცხოვრებაზე ისაუბრა გენერალური საბჭოს წევრმა **ელენე ბერკოვიჩმა**, ხოლო საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციების სექციაში საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის საქმიანობაზე, მისმა თანა-თავმჯდომარემ, გენერალური საბჭოს წევრმა **გურამ ბათიაშვილმა**.

პრეზიდენტ ალ. მაშკევიჩის წარდგინებით ევრ-აზიის ებრაული კონგრესის პირველ ვიცე-პრეზიდენტად გენერალურმა საბჭომ დაამტკიცა ბიზნესმენი **მიხეილ მირილაშვილი**, ვიცე-პრეზიდენტებად **გაბრიელ მირილაშვილი, მერაბ ელაშვილი, ემანუილ გრინშპული** (მოლდავეთი), **ედუარდ ლიტოვსკი** (უკრაინა).

გენერალური საბჭოს წევრები როშ ჰაშანის შემობრძანების წინა დღეს ქ. უმანში რაბი ნახმანის საფლავს ეწვივნენ. უმანში, ცადიკის საფლავთან თეილიმის რამდენიმე თავის წაკითხვა ერთობ მნიშვნელოვანია, მაგრამ როშ ჰაშანა-ქიფურის დღეებში იქ ჩასვლა დიდ მადლად ითვლება. იმ დღეს უმანში იყვნენ ისრაელიდან, აშშ-დან, ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული ათასობით მლოცველი, ისმოდა ლოცვები, შოფარის ხმა.

„გაცემული მრავალჯერადად დაგიბრუნდებათ...“

„ზაკა“ ეს არის ორგანიზაცია, რომელიც 20 წლის წინათ ისრაელში ერთობ ექსტრემალურ სიტუაციაში შეიქმნა. იგი ძალზე ჰუმანურ მისიას ასრულებს: ტერორისტული აქტების, სტიქიური უბედურების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიება, დაზარალებულთა დახმარება, დაღუპულთა ამოცნობა. იმის გამო, რომ ეს ორგანიზაცია ესოდენ კეთილშობილ საქმიანობას ეწევა, მან იოლად გადალახა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბიუროკრატიული ბარიერები და აღიარებული იქნა მის მიერ. „ზაკას“ მოხალისეებს შენიშნავდით ჰაიტიში მიწისძვრისას, თუ ცუნამის დამანგრეველი შემოტევისას, ჰონკონგსა, თუ ჩინეთში. ეს ორგანიზაცია რაბი მოშე ზაავმა შექმნა და დღემდე თავად ერთ-ერთი წევრია იმ ათასხუთასიანი არმიისა, გასაჭირში ჩავარდნილთა საშველად რომ მიისწრაფვის არა მხოლოდ ისრაელში, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში დატრიალებული ტრაგედიისას.

ამ რამდენიმე თვის წინათ „ზაკას“ — ამ საერთაშორისო ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეობა შესთავაზეს ცნობილ ქველმოქმედსა და ბიზნესმენს **მიხეილ მირილაშვილს**. იგი დათანხმდა ამ სერიოზულ შემოთავაზებას, როგორც თავად აცხადებს: „იმის გამო, რომ „ზაკას“ სულისკვეთება ემთხვევა ჩემს მრწამსს“.

„ზაკას“ 20 წლისთავი კიევში გადაიხადეს. ეს არ იყო მხოლოდ საიუბილეო საღამო. „ზაკას“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა იუბილეზე საქველმოქმედო საღამოს გამართვით კიდევ უფრო ძლიერი, მოქნილი, გასაჭირში ჩავარდნილთა შველისათვის უფრო მობილური გახდეს ეს ორგანიზაცია. ამიტომ საქველმოქმედო საღამოზე უმთავრესად მიწვეული გახლდნენ ისინი, ვისაც ძალუძს თავისი ქველმოქმედებით, შენატანით გააძლიეროს „ზაკა“ — ბიზნესმენები.

კიევის სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ შეიკრიბნენ უკრაინაში, მოსკოვში, ისრაელსა თუ სხვა ქვეყნებში მოღვაწე ბიზნესმენები, პოლიტიკოსები.

პირველ სიტყვას ამბობს ისრაელის აშქენაზთა მთავარი რაბინი **იონა მეცგერი**, შემდეგ გამოდის ისრაელის ქნესეთის ვიცე-სპიკერი **ალექს მილერი**, ისრაელის ელჩი უკრაინაში **ზინა კალაი კლაიტმანი, ეუდა მოშე ზაავი**. ევრ-აზიის კონგრესის პრეზიდენტმა **ალექსანდრე მაშკევიჩმა** და „ზაკას“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ **მიხეილ მირილაშვილმა** ვრცელი საინტერესო, სიტყვებით მიმართეს შეკრებილთ.

ალ. მაშკევიჩმა ასეთი ფორმულირება მისცა ამ საღამოს მიზანს: „ნუ იფიქრებთ, რასაც გასცემთ, დაგეკარგებათ, გაცემული მრავალჯერადად დაგიბრუნდებათ!“ ამ გამოსვლაში ალ. მაშკევიჩმა, მიხ. მირილაშვილს ძმა უწოდა. ამის შემდეგ დაიწყო შემოწირულებათა შეგროვება. ადამიანები მიკროფონთან მიდიოდნენ და აცხადებდნენ, ცალკე პიროვნება, თუ ორგანიზაცია რამდენს სწირავდა სტიქიურ უბედურებაში მოყოლილთა, დაკარგულთა, ტერაქტების დროს დაღუპულთა მოძიების, მიშველების, გადარჩენისათვის მოწოდებულ თანამედროვე რაინდების ორგანიზაციას. პირველ განცხადებას აკეთებს ალ. მაშკევიჩი — 100 ათასი დოლარი, უკრაინის მთავარი რაბი ასმანი — 1.800 დოლარი, უკრაინაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი ტარიელ ვასაძე — 60 ათასი დოლარი, ძმები ხიხინაშვილები — 180 ათასი დოლარი, მერაბ ელაშვილი — 60 ათასი დოლარი, რომან შალელი — 60 ათასი დოლარი და ა.შ.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც თავად მიხ. მირილაშვილის შეწირულობა გახლდათ — მან 520 ათასი დოლარი შესწირა ორგანიზაციას.

ისაკ მეგრელიშვილი — 90

მეცნიერის, პოეტის ნაუოფიერი გზა



ოცი წლის წინათ ბერლინში ბ-ნმა ისაკ მეგრელიშვილმა დაბადების სამოცდაათი წელი აღნიშნა, მე იმ სუფრაზე თამადა გახლდით... ათი წლის შემდეგ თბილისის ებრაულ სახლში ჩავატარე მისი ოთხმოცი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, გაკეთდა მოხსენება, გამოვფინეთ ი. მეგრელიშვილის წიგნები. დღეს კი მისი ოთხმოცდაათი წლის იუბილეს ვეხმაურები.

ისაკ მეგრელიშვილი დაიბადა 1920 წელს ქალაქ ქუთაისში. იმხანად საქართველოში მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა იყო. ბატონი ისაკის მშობლები — დედა სიმხა და მამა აბრამი ლეჩხუმის სოფელ ლაილაშში ცხოვრობდნენ. მათ ადრე სხვა ოჯახები ჰყოლიათ, მაგრამ დაქვრივებულან. მამას პირველი მეუღლე მძიმე ავადმყოფობით გარდაცვლილა, ხოლო დედის ქმარი პირველ მსოფლიო ომში დაღუპულა. ამ ორმა ქვრივმა ქ. ქუთაისში ახალი ცხოვრება დაიწყო.

ისაკის მშობლებს ადრე შვილები ჰყოლიათ. მამის ვაჟი — ფილხაზი საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდა, სათავეში ჩაუდგა ე.წ. „ღარიბკომს“. მაგრამ შემდგომ სტალინურმა რეჟიმმა იმსხვერპლა. დედას თავისი ქალიშვილი, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, გაუშვილებია ვინმე „აშქენაზის“ ოჯახში, რომელიც შემდგომ ოდესაში გადასახლდა.

ბატონმა ისაკმა პირველდაწყებითი განათლება ქუთაისის ყოფილ პირველ გიმნაზიაში მიიღო. პოეტური ნიჭი სწორედ აქ გამოავლინა. ერთ-ერთი ლექსისათვის ჯილდოდ ნ. ბარათაშვილის ლექსების კრებული მიიღო.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში. ერთი წლის შემდეგ კი დედის თხოვნით გაემგზავრა ოდესაში დაკარგული დის მოსაძებნად. აქ მან ინტენსიურად დაიწყო რუსული ენის სწავლა, რადგანაც სწავლის გაგრძელება ოდესის სამედიცინო ინსტიტუტში გადაწყვიტა. ქ. ოდესაში მცხოვრებმა ებრაელობამ დიდი ზეგავლენა იქონია მასზე. მან წაიკითხა ჰ. გრეცის, ს. დუბნოვის, ხ. ბიალიკის, შ. ჩერნიხოვსკის, ს. ფრუგის ნაწარმოებები. ამ პერიოდს ბატონი ისაკი ასე იგონებს: „ჩემი გონებრივი აღმზრდელი იყო ოდესა, აზროვნებაში შუქი შემმატა, ჩემში ებრაული სული გააღვიძა, რომელმაც ამაფორიაქა!“

ოდესაში ისაკმა დის კვალს ვერ მიაგნო. აღმოაჩინა, რომ აშკენაზების ოჯახში „პოგრომების“ შიშით ქ. ბერლინში გადასულიყო. როგორც შემდეგ გამოირკვა ეს ოჯახი ფაშისტულმა რეჟიმმა იმსხვერპლა.

ბატონი ისაკი ასე იგონებს თავისი ოჯახის უბედურებას: „კომუნისტებმა ძმა მომიკლეს, ფაშისტებმა — და!“ ერთ-ერთ ლექსში იგი ამბობს:

მილიონობით გაგუდეს გაზით,
მათ შორის იყო დაიკო ჩემი...
გთხოვთ ჩამიყუჩოთ სულის ტკივილი,
ხალხნო, აქ მესმის ჩემ დის კივილი!...

ცოდნას მოწყურებული ყმაწვილი 1939 წელს ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მაგრამ მოულოდნელმა სამამულო ომმა სტუდენტ ისაკ მეგრელიშვილს ოცნებები დაუნგრია. ცეცხლში გახვეული საყვარელი ოდესა ფეხით დატოვა. სწავლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო. მისი დამთავრების შემდეგ, 1944 წლიდან მოქმედ არმიაში მონაწილეობდა, როგორც სამხედრო ექიმი. იყო დაჭრილი, დაჯილდოებული იქნა რამდენიმე ორდენით.

1947 წელს საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობას იწყებს პროფესორ სიმონ ყიფშიძის კლინიკაში ორდინატორად, შემდეგ — ფსიქო-ნევროლოგიურ დისპანსერში. ატარებს საექიმო კონსულტაციებს საქართველოს მთიან რეგიონებში. გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი თეორიული და პრაქტიკული კურსები ლენინგრადში და მოსკოვში, სადაც აითვისა ჩინური მედიცინის მეთოდი — აკუპუნქტურა.

1959 წელს მუშაობას იწყებს რესპუბლიკის კლინიკურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც კვლავ იმაღლებს კვალიფიკაციას, ეწევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, როს შედეგადაც გამოაქვეყნა სამეცნიერო შრომების ციკლი და 1967 წელს დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „გვიან ასაკში ფსიქიური ძვრებით გამოწვეული სისხლის კაპილარული მიმოქცევის ცვლილების შესახებ“. მისი მოსაზრებით კაპილაროგრაფიით მიღებული შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება ფსიქიკურად და ფიზიკურად ნაადრევად დაბერებულ ავადმყოფთათვის.

ისაკის შემდგომი მეცნიერული კვლევების ინტერესს შიზოფრენიის პრობლემა წარმოადგენს. დაკვირვებები ტარდებოდა აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილისა და პროფესსორ ალექსი (ალეკო) სიხარულიძის ხელმძღვანელობით. პარალელურად ი. მეგრელიშვილი ბალნეოლოგიურ პოლიკლინიკაში მუშაობს. მან გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც ეხებოდა გოგირდოვანი წყლების ზემოქმედებას ნევრალგიითა და ართროზით დაავადებულებზე. მკურნალობის დროს ფართოდ იყენებს, აკუპუნქტურის მეთოდს.

პოეტური ნიჭი და პოეზიის სიყვარული ი. მეგრელიშვილმა ადრეულ ასაკში გამოამჟღავნა. მისი პირველი ლექსი ქუთაისის გაზეთში დაიბეჭდა, ხოლო ლექსების პირველი კრებული „ლეჩხუმური მოტივები“ თბილისში დაისტამბა. მისი ლექსების ძირითადი ლაიტმოტივი ებრაელი ერის მძიმე ბედი იყო. მას გულით დაჰქონდა ეროვნული ტკივილი. თავის ლექსებს მეგობრებთან და წვეულებებზე კითხულობდა. ამიტომაც იყო, რომ 1960 წელს მის ბინაში „კა-გე-ბემ“ ჩხრეკა ჩაატარა, ეძებდნენ სიონისტურ ლიტერატურას. სახლიდან წაიღეს მისი ლექსების ხელნაწერები. სამჯერ დაკითხეს. გააფრთხილეს, რომ ნაციონალურ-სიონისტურ თემაზე აღარ ეწერა.

ამან გადააწყვეტინა ი. მეგრელიშვილს ისტორიულ სამშობლოში — ისრაელში წასვლა. და აი, 1971 წელს ისაკი ისრაელის მოქალაქე გახდა. იგი აქტიურად ჩაება ქვეყნის შრომით ფერხულში. ეწევა საექიმო და საზოგადოებრივ საქმიანობას. აქვეყნებს სტატიებს სოციალურ საკითხებზე. აქტიური მონაწილეობა მიიღო 26-ე მსოფლიო სიონისტურ კონგრესში. პარალელურად ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწევა. გაზეთში „ნაშა სტრანა“..... დაიბეჭდა მისი ნოველები „ჩემი ქალიშვილი ივდითი“ და „დეიდა ციფორა“.

1974 წელს ბატონი ისაკი საცხოვრებლად ქ. ბერლინში გადადის (ისევ და ისევ დაკარგული დის კვალის საძებნელად). აქ იგი მუშაობას იწყებს პროფესორ ვარლ ბორნონ-ჰოფერის სახელობის ფსიქიატრიულ კლინიკაში. დაუკავშირდა ქართულ ემიგრაციას ამერიკაში, საფრანგეთში, სადაც დაიბეჭდა მისი ლექსები. პარიზში მოინახულა ქართველი ემიგრანტები. გაიცნო ჟურნალ „გუშაგის“ მთავარი რედაქტორი გიორგი წერეთელი და ფულადი დახმარება აღმოუჩინა ჟურნალს, სადაც მისი რამდენიმე ლექსი დაიბეჭდა. მის ლექსებს აქვეყნებს თბილისის, ქუთაისის, თელ-ავივის ჟურნალ-გაზეთები.1984 წელს თელ-ავივში გამოვიდა ლექსების კრებული. 1990 წელს თბილისში გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა მისი ლექსების კრებული „სამშობლოდან სამშობლოში“. ხოლო 1995 წელს გამომცემლობა „ქალდეამ“ — პოემა „ლტოლვილთა ქარავანი“. ისრაელში ქართულენოვან ჟურნალში დაბეჭდილ პოემას „თბილისის ბიჭები“ პრემია მიენიჭა. კომპოზიტორმა გიორგი ცაბაძემ მუსიკაში ააჟღერა მისი ლექსი „ჩემი თბილისი ღრუბლებში ვნახე“.

ბერლინში ი. მეგრელიშვილი აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს შიზოფრენიის, ნარკომანიის მკურნალობის საკითხებზე, აკუპუნქტურის სამკურნალო მეთოდის მნიშვნელობაზე, თამბაქოსა და „ადიპაზურ“ მიდრეკილებათა გადაჩვევის საკითხებზე. გამოაქვეყნა რომანი „Opfer Der Angst“, რომელიც შიდსით დაავადების პრობლემას ეხება.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. მეგრელიშვილი ბერლინის და ავსტრიის აკუპუნქტურის აკადემიების წევრია. მან მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სიმპოზიუმებში იაპონიაში, ჩინეთში, ფილიპინებსა და ინდოეთში.

1985 წელს პენსიაზე გასვლის შემდეგ შვილთან — რუდოლფთან ერთად საკუთარი კლინიკა დააარსა ბერლინში, სადაც დღემდე მუშაობს. მისი ნაშრომი ბიოენერგოინფორმატიკის დარგში დაიბეჭდა საქართველოს საინჟინრო აკადემიის ჟურნალში „Georgian Engineering News“. რამდენიმე წლის შემდეგ ამ აკადემიის ნამდვილი წევრი გახდა.

1989 წელს თბილისში იმყოფებოდა, სადაც შეხვედრა მოუწყვეს ხელოვნების მუშაკთა სახლში და მწერალთა კავშირში. დაჯილდოვება ზაზა ფანასკერტელის მედლით.

1993 წელს გამოქვეყნდა პროფესორ ზ. კახიანის წიგნი „მედიცინაში და მის ფარგლებს გარეთ“, სადაც ნათქვამია, რომ „ი. მეგრელიშვილმა ბერლინის კედლის ნგრევა იწინასწარმეტყველა ჯერ კიდევ 80-იან წლებში“.

ისაკ მეგრელიშვილის ლექსები ლევ კვიტკოს მიერ ითარგმნა იდიშზე და გამოქვეყნდა მოსკოვში, შემდეგ ითარგმნა ივრითზე და რუსულ ენაზე. 1999 წელს თელ-ავივში დაიბეჭდა მისი წიგნი „ჩემი ლოცვა“. 2000 წელს კი მისი ლექსების კრებული „Божественный огонь“, რომელიც რუსულ ენაზე ლ. ბერდიჩესკიმ და ნ. ბააზოვმა თარგმნეს. 2003 წელს თბილისში გამოიცა ლექსების კრებული „ღვთიური ცეცხლი“ და პომების კრებული. იგი 8 წიგნის ავტორია, რომლებშიც მკითხველს უზიარებს თავის ფიქრებსა და განცდებს ეროვნული ჭირ ვარამის შესახებ.

ისაკ მეგრელიშვილი ისრაელში მწერალთა კავშირის წევრია. აქტიურ მონაწილეობას ეწევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კითხულობს ლექციებს სამედიცინო თემაზე. პრაქტიკულად ეხმარება ავადმყოფებს. გამოდის ლექციებით რადიოში „ქოლ-ისრაელ“.

2003 წლის 10 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

2004 წელს თბილისში დაბეჭდილი იყო მისი კრებული — რომანი „დაბრუნებული ბედნიერება“, მოთხრობები „მამის ანდერძი“ და „მუზეუმი ჩემოდნებში“, რომლებიც გამსჭვალულია ეროვნული ტკივილით.

ქართველი მწერლის პროზაულ ნაწარმოებებს მკითხველი ისეთივე ინტერესით ხვდება, როგორც მის პოეტურ წიგნებს. და საბოლოოდ 2007 წელს თბილისში გამოვიდა მისი ლექსების წიგნი ახალი „ვედრება“.

ნათან ბააზოვი

ბატონ ისაკ მეგრელიშვილს პირველად 2003 წელს ქ. ბერლინში შევხვდი. მისი შესანიშნავი ლექსები ადრეც მქონდა წაკითხული, მაგრამ ეს იყო პირველი პირადი გაცნობა. 80 წელს გადაცილებული ძალიან მხნედ გამოიყურებოდა, 50 წელზე მეტს არ მისცემდით. ახოვანი, მხრებგანიერი, ჯან-ღონით სავსე დაუშრეტელი ენერგიით აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა.

თავის ძირითად პროფესიასთან (ფსიქოთერაპია, ნერვოლოგია) ერთად პოეზია ბატონი ისაკის სულიერი განცდის ნაყოფია. მის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი ლექსები, რომლებიც გამსჭვალულია ორი სამშობლოს — ისრაელისა და საქართველოს, საქართველოსა და ისრაელის — სიყვარულით. „საქართველოში ისრაელზე ვოცნებობდი, ისრაელში საქართველოზე ნოსტალგია არ მასვენებს!“ — უთქვამს ბატონ ისაკს.

ბერლინში ყოფნისას ბატონმა ისაკმა თავისი სანუკვარი ოცნება გამიმხილა: სურდა, მისი ლექსები თბილისში ქართულ ენაზე დაბეჭდილიყო. უდიდესი მოწიწებითა და პატივისცემით შევუსრულე თხოვნა და იმავე წელს თბილისში დაიბეჭდა მისი ლექსების კრებული „ღვთიური ცეცხლი“. ჩვენი ურთიერთობა შემდეგშიც გაგრძელდა და ბატონი ისაკის კიდევ სამი წიგნი დაიბეჭდა.

ძვირფასო ბატონო ისაკ!

გილოცავთ სახელოვან იუბილეს — დაბადების 90 წლისთავს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, ჯანმრთელობას და კიდევ ჯანმრთელობას.

დევი ღარიბაშვილი.

ბატონო ისაკ, მინდა ცოტა რამ გავიხსენო თქვენი შემოქმედებიდან: მახსოვს, 1984 წელს ისრაელში დაიბეჭდა, თქვენი ლექსების პირველი კრებული „რჩეული ლექსები“, რომლის რედაქტორი გახლდათ აწ განსვენებული ბატონი ხაიმ ხუბელაშვილი, იმ პერიოდში, მე ხაიფის ოლქში ვცხოვრობდი, დეკლამაციით ვიყავი გატაცებული და ეს წიგნი, ძალიან მომეხმარა მუშაობაში. დავამუშავე კიდეც, რამდენიმე ლექსი: „სეფერ თორას“, „დებორას“, „იჰეუდა ჰალევის“, „შარბათი“, „ალილუია“, „ანა ფრანკს“, „მასადა“.

2003 წელს, პირადად თქვენგან მივიღე, ახალი ლექსების კრებული „ღვთიური ცეცხლი“. ისრაელში მოგზაურობისას ამ კრებულიდან ტურისტებს ვუკითხავდი ლექსებს: „მე ორად გამყო დრომ და მანძილმა“, „მონატრება“, „იერუსალიმი მხოლოდ ჩვენია“ და სხვა.

2004 წლის ოქტომბერში, საქართველოში ტურისტული მოგზაურობისას, რომელიც ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის უშუალო პატრონაჟით, სხვა ქალაქებთან ერთად, ვიმოგზაურეთ ლეჩხუმის მაღალმთიან სოფელ ლაილაშში და ცნობილ წყაროსთან თქვენი ლექსი „ოქრონიში“ წავიკითხე, ლაილაშის მცხოვრებნი სიხარულს ვერ მალავდნენ და გაიძახოდნენ წყარო ოქრონიში თავის ღირსებას არ ჰკარგავსო, იგონებდნენ ცნობილ ქველმოქმედს იაკობ სეფიაშვილს და მის დიდ ღვაწლს სოფელ ლაილაშში. ლაილაშელების თქმით, სოფლის მკვიდრნი ოდითგანვე განიცდიდნენ სასმელი წყლის დიდ ნაკლებობას. ამ მძიმე მდგომარეობიდან იაკობ სეფიაშვილს უხსნია თანასოფლელები. 1917 წელს საკუთარი ხარჯით გამოუყვანიათ წყარო, რომელიც მთელ რაჭა-ლეჩხუმში „ოქრონიშის“ სახელითაა ცნობილი და დღემდე ამშვენებს წარწერა „იაკობ სეფიაშვილის წყაროთა დედოფალი ოქრონიში“. ამ წყაროსთან საქართველოს ბულბულს აკაკი წერეთელსაც ჰქონია ლექსი წაკითხული რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობისას.

ბატონო ისაკ, თქვენი პიროვნება არც საქართველოს გამორჩენია ყურადღებიდან — მოგენიჭათ საქართველოს უმაღლესი ჯილდო — ღირსების ორდენი.

კიდევ მრავალ წელს გაგეხარებინოთ თქვენი პოეზიით და შემოქმედებით ჩვენი ორი ერის გულები. გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებას.

პატივისცემით და კეთილი სურვილებით

დავით ხუბელაშვილი

ადამიანო, დროს გაუფრთხილდი!

საქართველოს ბევრი სახელოვანი შვილია გამოსული ქართველ ებრაელთა წიაღიდან, რომელთაც შორს გაიტანეს მშობლიური ქართული მიწისა და ხალხის სიყვარული. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის დასტაქარი ბ-ნი ისაკ მეგრელიშვილი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი (2003წ.) და სხვა დამსახურებული ტიტულების მფლობელი.

ამჟამად ბერლინში მცხოვრები ისაკ მეგრელიშვილი 90 წლისაა. ასეთი ასაკითა და შინაარსიანი არსებობით იგი ამართლებს აზრს, რომ ადამიანს არ შეუძლია იყოს გამოუთქმელი საკუთარი სიცოცხლის მიმართ, თუ იგი, რა თქმა უნდა, ეტრფის სიცოცხლეს და იცის სიცოცხლის ფასი. ბ-მა ისაკ მეგრელიშვილმა კი ნამდვილად იცის სიცოცხლის ფასი. ამას მისი განვლილი ცხოვრება ადასტურებს. გარდა მისი ღირსეული სამედიცინო მოღვაწეობისა, ბ-ნ ისაკ მეგრელიშვილს ეკუთვნის ლექსთა რამოდენიმე კრებული, და რომ არ ვიცოდეთ ამ პიროვნების ძირითადი პროფესია, ვიტყოდით, რომ იგი ლექსისთვისაა დაბადებული. მის ლექსებში ძირითადი ადგილი უჭირავს საქართველოსა და ისრაელს, ქართველი და ებრაელი ხალხების გასაოცარ, მშვიდობიან თანაარსებობას, უმღერის ამ ქვეყნების გმირულ წარსულს, ევედრება შემოქმედს კეთილდღეობას მათთვის, იგონებს მეგობრებს, პატივს მიაგებს მათ ხსოვნას. დიდ ადგილს უთმობს სიყვარულის თემას, რომლის მუზას ერთი სახელი ჰქვია-"ბეტი"-ეს მისი ძვირფასი მეუღლეა, რომელთან გატარებულ წლებს უზენაესის დიდ საჩუქრადა და ჯილდოდ მიიჩნევს. ხოლო მისი უზომო სიყვარული თბილისისადმი, შეიძლება მისი ლექსის ერთი სტროფით გადმოვცეთ: ...მინდა ჩამოვხტე თვითმფრინავიდან, მოუსვენარი სურვილი მარხევს, რა ლამაზი ხარ ცის აივნიდან, ჩემო თბილისო ღრუბლებში გნახე!" (ლექსი დაწერილია თვითმფრინავში, ბერლინიდან დელიში ფრენის დროს).

მშობლიური საქართველოც სათანადოდ აფასებს ისაკ მეგრელიშვილის გაუნელებელ სიყვარულს სამშობლოსადმი და ამიტომაც ასტუმრა იგი საქართველოს 2007 წლის მაისში „დიასპორას დღესთან" დაკავშირებით.

ბატონო ისაკ! გვინდა მოგილოცოთ ეს ნამდვილად საამაყო თარიღი და ებრაულად დაგლოცოთ: ად მეა ვეესრიმ! იცოცხლეთ, იდღეგრძელეთ, თქვენივე ლექსის სიტყვებით გეტყვით: „...ადამიანო, დროს გაუფრთხილდი!"

რევაზ და დავით შათაშვილები

ბევრი ტკბილი მოგონება მაკავშირებს ბატონ ისააკთან და მის ოჯახთან. ჯერ სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც ბერლინში მის ოჯახს ვესტუმრე. ეს სტუმრობა არასოდეს დამავიწყდება. ბატონმა ისააკმა და მისმა მეუღლემ — ქალბატონმა ბეტიმ ბევრი რამ საინტერესო დამათვალიერებინეს არა მარტო ბერლინში, გერმანიის სხვა ქალაქებშიც. ასე მაგალითად, მოვინახულე მიუნხენი, დრეზდენი, ვაიმარი, ლაიფციგი და სხვა. გერმანიაში გავეცანი ისეთ ღირსშესანიშნაობებს, როგორებიცაა სან-სიუსის სასახლე, დრეზდენის გალერეა, ბერგამონის მუზეუმი და სხვა.

ბატონი ისააკის ოჯახს დღემდე არ ვავიწყდები და მათ დღესასწაულზე ყოველთვის ვღებულობთ უზარმაზარ ამანათს.

ბატონო ისააკ!

გულწრფელად და დიდი სიყვარულით გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს, დაბადების 90 წლისთავს, გისურვებთ ჯანმრთელობას, იმ მუდმივ შემართებას, რომელიც თქვენ გაგაჩნიათ. იმედი მაქვს, კიდევ გიხილავთ თქვენ და თქვენს მეუღლეს აქ, ჩვენთან, საქართველოში. კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით იმ დაუვიწყარი მასპინძლობისთვის, რომელიც თქვენ და თქვენმა ოჯახმა გაგვიწიეთ მე და ჩემს ოჯახს.

თამრიკო (თამარ) სიხარულიძე, ექიმი ოფთალმოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

უძვირფასესი მსგავსება

ექიმი ისაკ მეგრელიშვილი გაცნობის პირველსავე დღიდან, ჩვენი ოჯახის უახლოეს წევრად გადაიქცა. ამის მიზეზი კი ბევრი რამ გახლდათ: მისი წარმომავლობა (ლეჩხუმი, სოფელ ლაილაში) იშვიათი მამაკაცური სილამაზე (თითქმის ორი მეტრი სიმაღლით, ლამაზი კეხიანი ცხვირითა და მაღალი შუბლით) საოცარი ადამიანური თვისებები, ისრაელის სახელმწიფოსადმი განსაკუთრებული, გამორჩეული დამოკიდებულება, არა მხოლოდ ემოციებისა თუ ვაშა-პატრიოტული სიყვარულის დონეზე ,არამედ სიონისტური მგზნებარებით დამუხტული, მუდმივად შემართული მისი მტრების (გარესა თუ შინაურის) წინააღმდეგ. ყოველივე ზემოთქმული წამიერად გაახლოებდა მასთან, გიჩენდა სურვილს კიდევ დიდხანს გაგრძელებულიყო ისაკთან ურთიერთობა. არა ნაკლებ ხიბლს მატებდა ჩვენს სიახლოვეს ასევე მისი პოეტური მოღვაწეობა.

მაგრამ, ისე მოხდა, რომ ჩვენი ოჯახისთვის და ჩემთვის პირადად უძვირფასესი აღმოჩნდა მისი მსგავსება ბაბუაჩემთან, დედაჩემის მამასთან, მოშე მეგრელიშვილთან!! (ისინი, ერთი ძირისანნი იყვნენ).

ბაბუაჩემი, მოშე მეგრელიშვილი (რომელიც მე სამწუხაროდ, მხოლოდ ავადმყოფი, მწოლიარე მახსოვს) დედაჩემის გადმოცემით, ერთ ღამეში 25 ლიტრა ღვინოს სვამდა და ქორწილის შემდეგ ღამენათევი, კიდევ ერთ ჭიქას მოსვამდა: „ღვინოს გემო არ დამავიწყდესო" დედის ნაამბობი მე, ბევრ შემთხვევაში, მეტად გაზვიადებულად მეჩვენებოდა. ასევე გულახდილად გეტყვით, ნაკლებად მჯეროდა იმისა, რომ მეგრელიშვილები, რატომღაც მეტისმეტად გამორჩეული სილამაზის მამაკაცები არიან, მაღლები, ტანადები, ვაჟკაცურები, დიდი ძალის მფლობელები. და აი საოცრება! დედაჩემის წარმოდგენაში მისი დაუბერებელი მამის ხატი, ბატონმა ისაკმა რეალურად გააცოცხლა და ჩემისთანა „არა მჯერა" ცინიკოსს საუკეთესო მაგალითად დაუხატა.

ათი წლის წინ, ისაკ მეგრელიშვილს საიუბილეო 80 წლისთავი, ჩვენმა სტუმართმოყვარე ოჯახმა აქ, ისრაელში აღუნიშნა. ბევრ სხვა უგემრიელეს კერძებთან ერთად დედამ, საყვარელი ძმისათვის (ასე უწოდებდა ბატონ ისაკს)სპეციალურად, იმერული და აჭარული ხაჟაპურები გამოაცხო .

საგვარეულოს ამ უმშვენიერეს წარმომადგენელს, დიდი გვარის შვილს,60-იან წლებში ქართველ ებრაელთა სიონისტური მოძრაობის ერთ ერთ აქტიურ წევრს, შესანიშნავ ექიმს, პოეტს, საზოგადო მოღვაწეს, ერთგულ მეუღლეს, მამასა და ბაბუას, ისააკ მეგრელიშვილს დღეს 90 წელი უსრულდება (აი გენები!!!).

ჯერ კიდევ 80-იან წლებში, რუსთაველის თეატრის გასტროლების დროს დასავლეთ ბერლინში, სადაც ბატონი ისაკი უკვე წლების განმავლობაში ცხოვრობს (სადაურსა სად წაიყვან?), მას იშვიათი სტუმართმოყვარეობა გაუწევია თეატრის მთელი დასისათვის, რაზეც რობიკო სტურუას უამბნია ჩემთვის. რამდენი იქ ჩასული ქართველი კაცისთვის სახლის კარი გაუღია, გული გადაუშლია, ცრემლმორეულს ამაყად საქართველოსა და ისრაელის ერთგულების სადღეგრძელო აუწევია თუ ლექსი წაუკითხია, როგორც შესანიშნავ ექიმს,რამდენი ავადმყოფისთვის რეალური დახმარება გაუწევია, იმდენი დღე შემატებოდეს მას,ბატონ ისაკს, ჩვენი განუმეორებელი ფენომენის, ქართველ ებრაელთა ერის საამაყოდ და სასიხარულოდ.

120 წლამდე ბატონო ისაკ!!!

იოსებ ბარდანაშვილი

გულთბილი მოგონებები

ჩემი მეუღლე — პროფესორი ალექსანდრე (ალეკო) სიხარულიძე გახლდათ საქართველოს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში. ამასთანავე იგი ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტთან არსებულ ცენტრალურ სამეცნიერო ლაბორატორიას. ის აგრეთვე იყო ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

ალეკო წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის ასათიანის სახ. ფსიქიატრიის ინსტიტუტში აკადემიკოს ავლიპ ზურაბაშვილთან, სადაც მან გაიცნო და დაუმეგობრდა ამჟამად გერმანიაში მცხოვრებ ცნობილ კლინიცისტ-ნერვოპათოლოგს ისააკ მეგრელიშვილს.

ალეკო აფასებდა რა ბატონ ისააკის ნიჭს, მის ღრმა ცოდნას ნერვოპათოლოგიაში, შრომისმოყვარეობას, დათანხმდა მას ეხელმძღვანელა მისთვის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის შესრულებაში. ბატონმა ისააკმა ბრწყინვალედ დაიცვა ორივე დისერტაცია. საქართველოში ცხოვრების პერიოდიდან დღემდე ბატონი ისააკი და მისი ოჯახი ჩვენი ოჯახის მეგობრები არიან.

ბევრი თბილი მოგონება მაკავშირებს ბატონ ისააკთან და მის ოჯახთან. ისააკს მოუწია საქართველოს დატოვება. ის გაემგზავრა ისრაელში. ერთი წლის შემდეგ ბატონი ისააკი ოჯახთან ერთად გადავიდა გერმანიაში (ბერლინში), სადაც ისააკ მეგრეს სახელითაა ცნობილი.

მიუხედავად საქართველოს დატოვებისა, ბატონი ისააკი ბევრ საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა და ეწევა საქართველოსათვის. აი, მაგალითად, ემიგრანტი გიორგი წერეთელი, საფრანგეთში მცხოვრები, ქართულ ენაზე უშვებდა ჟურნალ „მოამბეს". ბატონი ისააკი აფინანსებდა ამ ჟურნალს, აგრეთვე ყოველ თვეს ღებულობდა „მოამბის" ნომერს და სიამოვნებით ეცნობოდა მას. აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონმა ისააკმა მიიპატიჟა რუსთაველის თეატრის დასი იმდროინდელ დასავლეთ ბერლინში, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ აკრძალული იყო საქართველოში ჩამოსვლა (საბჭოთა კავშირის პერიოდი) რამაზ ჩხიკვაძემ და მისმა მეუღლემ მოიპატიჟეს ბატონი ისააკი მეუღლით თბილისში. მეორე დღიდანვე მეგრელიშვილები გადმოვიდნენ საცხოვრებლად ჩვენს ოჯახში, სადაც ერთ თვეს დაჰყვეს.

ბატონ ისააკს ქართულ ენაზე დაწერილი ჰქონდა ლექსების კრებული. ჩემმა მეუღლემ ალეკომ დააკავშირა ბატონი ისააკი მწერალ ლევან სანიკიძესთან, რომელმაც ხელი შეუწყო ამ კრებულის თბილისში გამოცემას. ერთ-ერთი ლექსზე კომპოზიტორ გიორგი ცაბაძის ვაჟმა კახა ცაბაძემ მუსიკაც კი დაწერა. ბატონ ისააკს ამ პერიოდში საღამოც კი მოუწყვეს მწერალთა კავშირში, რომელიც საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა. ამ საღამოს თბილისის მთელი ინტელიგენცია ესწრებოდა. სხვათა შორის, ამ საღამოზე შესრულდა ბატონი ისააკის ლექსზე შექმნილი კახა ცაბაძის მუსიკა.

ბატონი ისააკის სტუმრობა ჩვენთან ამით არ შეწყვეტილა. იგი რამდენჯერმე განმეორდა. ასევე ჩვენც (მე, ჩემი მეუღლე და ქალიშვილი თამრიკო) ხშირი სტუმრები გახლდით ბატონი ისააკის ოჯახისა.

ეთერ გოგოძე-სიხარულიძე, ექიმი ოფთალმოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ისაკ მეგრელიშვილი

ისრაელი, ჩვენია მარად!

ერის აკვანი, გვწამს აქ დაირწა...
დავითის დროშა ფრიალებს ბარა...
კვლავ დავიბრუნეთ, სისხლისღვრით მიწა,
პატარა, მაგრამ ჩვენია მარად!
დროთა ბრძოლაში, ტანჯვა არ აგვცდა...
კონცლაგერები... გეტო და დევნა...
გენოციდი და ცრემლის ღვრა, განცდა...
საუკუნეთა წუხილი... სევდა!
კოცონზე გვწვავდნენ... არ შეგვიცოდეს...
მტრებს სურდათ, მარად მოსპობა ერის!
კვლავ კატასტროფას... ხალხნო, იცოდეთ...
ვერ მოესწრება, ვერც ერთი მტერი!
... ომის მსურველნი ჩავქოლოთ ჩვენ ქვით...
ირანელებმა... ებრაელებმა!!...

ეს სოსომ შექმნა ჰანგთა სამყარო...

ვუძღვნი ცნობილ კომპოზიტორს,
საზოგადო მოღვაწეს, პროფესორს
იოსებ (სოსო) ბარდანაშვილს

უდაბნოს ქარი... არხევს ცუდ ამბავს...
კვლავ ისრაელი მოსთქვამს და სისხლს ღვრის...
სიკვდილი მოაქვს, მეზობელ არაბს...
მისთვის სიცოცხლე შეკელი, არ ღირს!
სხვა არაბი კი, მშვიდად ზის ვირზე...
არ წუხს, დედა შვილს ჭრილობას უხვევს...
ო, მომეჩვენა... გაცეცხლდა ბიზე!
მუსიკის ჟღერით... ზეცის თაღს არხევს!

— ღმერთო! როდემდის კვნესა... წუხილი?!
ცრემლიანი გვაქვს მუდამ თვალები...
მწამს, ცის თაღს არხევს ბრძოლის ქუხილით...
ვფიქრობ, ერს იცავს ცაში ჰალევი —...
გურამის ნათქვამს, ვიგონებ!... ვცდები?!...
„ეს სოსომ შექმნა „ჰანგთა სამყარო"!!
ერის გოდების... ტანჯვა... განცდების...
მუსიკის რხევით, რომ შეგვაყვაროს!"—
როგორც ჩვენ... ისე ქართველებს გვსდევდა...
არაბ-ირანთა ბრძოლა და ღრენა...
ბარდანაშვილმა ამათი სევდა
იუდეველის ხმით ააჟღერა!...
— ღმერთო! გთხოვ შეწყდეს, გლოვა — დედების...
ქვეყნად, დამყარდეს ძმობა... შალომი...
სოსოს, მუსიკით ჰიმნთა ვედრებით,
მარადის შეწყდეს შუღლი და ომი!!!

სინანულის ლოცვა და პერსპექტივა

აჰა, მობრძანდა ახალი წელი — როშ ჰაშანა! მიჯნა ძველისა და ახლის შეერთებისა და დაშორიშორებისა, დასასრულისა და დასაწყისისა.

როშ ჰაშანა ებრაელობისათვის სადღესასწაულოა იმდენად, რამდენადაც სასიხარულოა ახალ წლამდე მოსვლა: გამჩენმა ინება და ამ დღემდე გვაარსება, ეს წელი ჩაგამთავრებინა და ჩნდება იმედი მომავალ წელსაც გვქონდეს საშუალება ვმსახურებდეთ ღმ-თს – ე.ი. ვასრულებდეთ ებრაელი კაცის უპირველეს მისიას.

ხოლო უფრო ფართოდ, უფრო ჭეშმარიტად, ებრაელობისათვის ახალი წელი თვითანალიზის, განვლილი წლის განმავლობაში გაკეთებულ საქმეთა არსში წვდომაა. შოფარის ჟრუანტელისმომგვრელი ხმა შეგვახსენებს ჩავფიქრდეთ,რა გიკეთებია: ცოდვა მეტია ჩვენს ქმედებებში, თუ სიკეთე, ღვთის სამსახური მეტია, თუ საკუთარი ამბიციების ჭეშმარიტებად გასაღების მცდელობა, რამდენი ცოდვა ჩაგვიდენია ამ ამბიციის დაკმაყოფილების გზაზე.

ამდენად, როშ ჰაშანა-ქიფური თვითგანწმენდის დღეებია, ეს დღეები კიდევ ერთხელ შეგახსენებს, გკარნახობს საკუთარ თავში მოვნახოთ ძალა ბოროტი საწყისის ძლევისა, რომელიც ადამიანის სულში დროდადრო მძლავრობს,როშ ჰაშანა—ქიფურის დღეები კიდევ და კიდევ მოგვიწოდებს, განვთავისუფლდეთ ყოველდღიურობის წარმავალობისაგან და მივუბრუნდეთ ჩვენს ძირებს. ეს კი ლოცვით, ხესედით მიიღწევა.

როგორ ცხოვრობდა თბილისის ებრაელობა განვლილ 5770 წელს?

თითქმის ისევე, როგორც მთელი საქართველოს მოსახლეობა, კიდეც უჭირდა, კიდეც ულხინდა, ვინ გასაჭირიდან გამოძვრა და კეთილდღეობის გზაზე ორიოდ ნაბიჯი გადადგა, ვინ კიდევ...

მაგრამ საქართველოს ძირითადი მოსახლეობისაგან ებრაელობას მაინც განასხვავებდა ერთი სერიოზული გარემოება – თითქოს შენელებული ალიის ფონზე ადამიანები კვლავაც ისტორიული სამშობლოსაკენ იჭერდნენ გეზს. ეს კარგად გამოჩ-ნდა როშ ჰაშანა-ქიფურის დღეებში.

როშ ჰაშანამ ჩვეულებრივ ლოცვაში ჩაიარა. წყლის კურთხევაც ჩვეულებრივ მტკვრის პირას ჩატარდა, ე.წ. „ახალციხელების ლოცვაში“. (გაბაის არჩევნების მოახლოების გამო, ამ ბეით ქნესეთში ხშირად გაისმოდა ადრეულ წლებში მოსმენილი შუასაუკუნეობრივი აზროვნებით ნაკარნახევი რეპლიკები: „ლოცვას გვართმევენ, ისრაელებო,“(ე.ი. ქუთაისელი, კულაშელი, ცხინვალელი ცდილობს გახდეს გაბაი), „ეს ლოცვა ახალციხელების აშენებულია და სხვა კუთხის ისრაელები, ამ ლოცვის გაბაიობაზე ნურც იფიქრებთ“. ამ ფრაზების ბოლოს რამდენი ძახილის ნიშანიც არ უნდა დავსვათ, საერთო გაკვირვებას სრულად მაინც ვერ გამოვხატავთ. მაგრამ ნუ ავუხირდებით. რახან ასე სწადიათ, ეს სალოცავი ასევე მოვიხსენიოთ — „ახალციხელების ლოცვა“ არც ამით დაშავდება რაიმე— დიდებულმა ადამიანებმა ჩინებული ძეგლი დაგვიტოვეს. ჩვენ ერთიანნი ვართ, დავიბადეთ კულაშში, ბანძაში, გორში, ქუთაისში, თუ სხვაგან, ქიფურში წინასაარჩევნო ციებ-ცხელებას ლოცვაზე არა-რა ზეგავლენა არ მოუხდენია, თითო-ოროლა კაცს თუ ახსოვდა იგი – ჯამაათი ზენაარის წინაშე წარსდგა წრფელი გულით, მეხილის სულისკვეთებით—სინანულით, მუდარით. არჩევნებს გაბაიობის კანდიდატთა კედელზე გამოკრული ფოტოები და ფირუზ კოჩობაშვილის – საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის – მიერ შემუშავებული სქემა თუ გაგახსენებდათ, თორემ ქიფურის დღეს ყველა დიდი სამსჯავროს წინაშე წარმდგარ ადამიანად გრძნობდა თავს.

„ახალციხელების ლოცვაში“ პირველ სართულზე იერუსალიმიდან ჩამობრძანებული ხახამ დავითი ლოცულობდა. გვერდით, მისაშველებლად, ხახამ მიხეილი ედგა, მეორე სართულზეც ხახამ დავითი, აზიზოვი, მხნედ უძღვებოდა ლოცვას, გვერდით რაბი არიელ ლევინი ედგა და დროდადრო ეშველებოდა ხოლმე. ფასუკების ფასი 50 ლარიდან 700 ლარამდე მერყეობდა. ეხალის გახსნა, რასაკვირველია, ყველაზე ძვირადაც ფასობდა—1000 ლარამდეც კი აღწევდა.

ქიფურის შემობრძანების საღამოს ლოცვა მეორე სართულზე ჩატარდა და დარბაზი თითქმის გაივსო, ქიფურის დღეს კი მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ საქართველოში მოღვაწე ისრაელელი ბიზნესმენები, ტურისტები, ორივე სართულზე მლოცველთა ხალვათობა იგრძნობოდა, განსხვავებით ალ. მაშკევიჩის მიერ რესტავრირებული ე.წ. აშქენაზების ლოცვისაგან. აშქენაზების ლოცვაში ისრაელიდან ჩამოსული იცხაკ გაგულა ლოცულობდა. ლოცულობდა წარმტაცად, სმენისდამატკბობელად. იგი შარშანაც გვეწვია, მშვენივრად ილოცა და საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესს, პირადად გაბრიელ მირილაშვილს ვთხოვეთ წელსაც მოევლინებინა იგი თბილისში. ბ-ნი გაბრიელი ამჯერადაც ჩვენს გვერდით დადგა. იცხაკ გაგულას მხარს უმშვენებდნენ ჩვენი ახალგაზრდა ხახმები – არონ მდინარაძე და იაკობ დავითაშვილი. ამ ლოცვაში რომ დილიდანვე ხალხმრავლობა იყო, უკვე გითხარით, თუმცა, საღამო ხანს „ახალციხელების ლოცვაშიც“ მოვიდა ხალხი. მლოცველნი ცხადია, დილიდანვე იყვნენ, ნეყილის წინ მოვიდნენ ისინი, ვისაც თავისი ებრაელობის დამადასტურებელ არგუმენტად ბეით ქნესეთში ნეყილის დროს გამოჩენა მიაჩნია. ზოგი ამათგანი ლოცვად კი არა, ხალხში გამოსაჩენად მოვიდა. ორივე სართულის დარბაზებში გაიარ-გამოიარა, ხან ვის გამოელაპარაკა, ხან ვის და...

თუმცა, ასეთ სურათს, ალბათ, ყოველ ბეით ქნესეთში შევხვდებით.

ნუ დავძრახავთ, ყოველი ადამიანი თავად ირჩევს თავისი ცხოვრების წესს, ჩვენ ფაქტს აღვნიშნავთ, თუმცა, ამ აღნიშვნის ქვეტექსტში, იქნებ, შესამჩნევი გავხადოთ სურვილი—ბეით ქნესეთი სალოცავ ადგილად რჩებოდეს და არა საქმეების მოგვარებისა, ინფორმაციის მიღებაგაცემისა. ვინაც ლოცვად იყო მოწოდებული, გატაცებით ლოცულობდა, ასეთი იყო დიდი უმრავლესობა. თითო-ოროლა კაცი საერთო განწყობაზე ზეგავლენას ვერ ახდენს. თითო-ოროლა კაცი იმიტომ ვახსენეთ, რომ ვთქვათ: ასეთებიც არიან.

გატაცებით ლოცულობდა ახალგაზრდა ხახამ დავითი, მაგრამ რომ არა ქალთა ნაწილიდან მოდენილი ხმაური, მისი ლოცვა გაცილებით ეფექტური იქნებოდა. საქალებო ნაწილიდან ისეთი ხმაური მოდიოდა, ხახამი ორჯერ გახდა იძულებული ქალებისათვის ყურადღება ეთხოვა.

დადგა საქიფურე ცედაკის წუთებიც. ჯამაათი ერთობ ალალად, გახსნილად აცხადებდა თავის შენატანს ბეით ქნესეთის საჭიროებისა და საჯამაათო საქმისათვის. შესაწევარი ასიდან ათას ლარამდე მერყეობდა. ყველაზე სასიამოვნო კი ის გახლდათ, რომ როგორც ფასუკების ყიდვისას, ასევე საქიფურო ცედაკის გაცემისას, ახალგაზრდები აქტიურობდნენ. ღვთის წყალობით, თბილისში მომრავლდნენ ეროვნული, რელიგიური სულისკვეთების ახალგაზრდები, რომლებსაც არ ენანებათ საჯამაათო ინტერესებისათვის თანხის გაღება. ეს გაბაი შ. ქოსაშვილის ერთმა ინიციატივამაც ცხადყო: სარაშჰაშანოდ დამთავრდა ლოცვის ეზოში მიკვესა და ტუალეტის რესტავრაცია. საჭირო თანხა, ცხადია, ჯამაათში შეგროვდა, ახალგაზრდობის წილი აქაც საგრძნობია, ეს კი იმას ადასტურებს, რომ თბილისის ჯამაათს პერსპექტივა აქვს და იმაზეც მეტყველებს, რომ ამ ჯამაათში ბევრი სასიკეთო საქმის კეთება შეიძლება, თუ ლოცვას ლოცვის ფუნქციას დავუტოვებთ და სამსჯავრო არენად არ ვაქცევთ.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ თბილისის ჯამაათმა კარგად ილოცა. ძნელია იმის თქმა, ვინ როგორ ჩაიხედა თავის გულში, ვინ რაოდენ განიცადა სინანული, როგორ ასწონ-დასწონა თავისი საქმეები, მაგრამ იმას კი დაბეჯითებით ვიტყვით, რომ თბილისშიც შეთხელდა ჯამაათი: ნეყილის დროს შემოერთებულთა მეოხებით ორივე სართულზე თითქმის ყველა დასაჯდომი ადგილი შეივსო! ფეხზე არავინ არ იდგა და ეს მაშინ, როცა სულ რაღაც 3-4 წლის წინათ, ქიფურში იმდენი ხალხი იყრიდა თავს, ამოდენა, ამ სიმაღლე ჭერის მქონე დარბაზში, სუნთქვაც კი ჭირდა.

მომდევნო დღეს, 19 სექტემბერს, გაბაის არჩევნებიც გაიმართა. მკითხველმა უკვე იცის, რომ ამ არჩევნებს ჯამაათი დიდხანს ელოდა. კენჭისსაყრელად წარმოდგენილი გახლდათ სამი კანდიდატი: სოსო აჯიაშვილი, დავით კვესოშვილი და თამაზ გორელაშვილი. ფარული კენჭისყრის შედეგად გაირკვა, რომ ხმების დიდი უმრავლესობით გაიმარჯვა **თამაზ გორელაშვილმა**.

,,მენორა“ მიესალმება ჯამაათის არჩევანს და ახალ გაბაის უსურვებს ჯამაათის საკეთიდღეო საქმიანობაში წარმატებას!

იმედს გამოვთქვამთ, რომ ასეც იქნება!

რას ვკითხულობთ
ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება
საქართველოს მთავარი რაბინი
არიელ ლევინი

ბ ე რ ე შ ი თ ი

„დასაწყისში შექმნა გამჩენმა ცა და მიწა“

ასე იწყება გამჩენის მიერ მოშესათვის ნაკარნახევი მარადიული წიგნი, ეგრეთ წოდებული მოშეს ხუთწიგნეული, თორა (ხუმაში), კაცობრიობისათვის ყველაზე ხშირად საკითხავი წიგნი.

და ჩვენს ბრძენებს, თორის კომენტატორებს, უკვე უჩნდებათ კითხვა: „რატომ არ იწყება თორა პირველი მცნებიდან, რომელიც ებრაელებს მისცა გამჩენმა?“ ხომ ყველასათვის ნათელია, რომ თორა გამჩენს ჩვენთვის არ უბოძებია სამყაროს შექმნის ისტორიის მოსათხრობად. ის ხომ ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის, თორის ბოძებისა და მისი მცნებების შესასრულებლად იყო გამიზნული. პირველ მცნებაში ხომ გამჩენი ჩვენ გვეუბნება: „მე ვარ გამჩენი ღმ-რთი, რომელმაც გამოგიყვანათ თქვენ ეგვიპტიდან“. ამით კი ხაზი გაუსვა მისი ქმნილების ძირითად მიზანს.

თუმცაღა, გასაგებია, რომ წიგნის „ბერეშითი“ პირველივე წინადადებებში რწმენის საფუძვლებია მოცემული: გამჩენის მიერ მთელი სამყაროს შექმნა, ის, რომ ადამიანს აქვს არჩევანის უფლება, ის, რომ გამჩენს მასთან ურთიერთობა აქვს, ის სჯის და პატიობს მას, ასწავლის მონანიებას და რწმენის სხვა საფუძვლებს.

მიუხედავად ყველაფერ ამისა, თორის უდიდესი კომენტატორი რაბი გვეუბნება, რომ თორის პირველი წინადადება გვიმტკიცებს იმას, რომ ცა და დედამიწა გამჩენს ეკუთვნის და ის აძლევს მას იმ ხალხებს, ვისაც თავად ირჩევს. და ამიტომ, ისრაელის მიწა, რომელიც გამჩენმა უბოძა ებრაელ ხალხს, სამართლიანად ეკუთვნის მათ.

ადამიანის შექმნის მომენტში, სხვა დანარჩენი სამყაროს შექმნისაგან განსხვავებით, გამჩენი ვიღაცას მიმართავს: „შევქმნათ ადამიანი“. ჩვენს ბრძენებს აქვთ სამი ვერსია იმის შესახებ, თუ ვის მიმართავს გამჩენი: 1. ანგელოზებს, რათა გვასწავლოს ჩვენ, რომ მიწიერი მოსამართლეც არ უნდა წყვეტდეს საკითხებს მარტო. ის უნდა მოეთათბიროს სხვა მოსამართლეებსაც. 2. მთელს სამყაროს, რადგანაც ადამიანში თავმოყრილია სხვადასხვა ქმნილების თვისებები – ადამიანის სული სულიერი ბუნებისაა და ანგელოზებისას ჰგავს, სხეულის აგებულება – ცხოველებისას. 3. გამჩენი მიმართავს თავად ადამიანს – ის ხომ არაა სრულყოფილი და სჭირდება როგორც ფიზიკური (წინადაცვეთა) ასევე სულიერი კორექტირება. ამიტომაც გამჩენი და ადამიანი ერთად ქმნიან ადამიანს.

საინტერესოა, რომ გამჩენი სამყაროს შექმნის ყოველი დღის დასრულებისას ხედავს, რომ ეს კარგია, ანუ შექმნილია სრულყოფილად და ცვლილებებს არ ექვემდებარება. მეექვსე დღეს კი, ადამიანის შექმნის შემდეგ ამბობს: „და აი, ძალიან კარგია“. სიტყვა ძალიან წმინდა ენაზე – „მეოდ“ იგივე ასოებს შეიცავს, რასაც „ადამ“, მხოლოდ სხვა თანმიმდევრობით. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ადამიანი კარგია, სრულყოფილია მაშინ, როცა ის ცვლის საკუთარ თავს, გადააადგილებს ასოებს საკუთარ თავში, იზრდება.

თორაში ადამიანის შექმნის შესახებ ორჯერაა მოთხრობილი: ერთხელ მისი სხეულის შექმნაზე და მეორედ იმაზე, რომ გამჩენმა მას სული შთაბერა. ისმის კითხვა – იყო თუ არა ადამიანი ცოცხალი მისთვის სულის შთაბერვამდე. რამბამის აზრით – ცოცხალი იყო, მაგრამ ჰგავდა მაღალგანვითარებულ ცხოველს და მხოლოდ სულის შთაბერვის შემდეგ იქცა ქმნილებად „მისი სახითა და მსგავსებით“. ყოველი ჩვენთაგანი აღვივებს საკუთარ თავში ამ გამჩენისეულ ნაპერწკალს, თუ ასრულებს მცნებებს და, გამჩენმა ნუ ქნას, აქრობს მას - თუ სცოდავს.

ყველას კარგად მოგეხსენებათ ადამისა და ხავას მიერ მცნების დარღვევის ისტორია. როცა მათ გასინჯეს სიკეთისა და ბოროტების შეცნობის ხის ნაყოფი. საინტერესოა, რომ თორა არ გვეუბნება, თუ რა ხე იყო ეს, რათა ადამიანებმა არ წარმოსთქვან: „ამ ხის გამო ხომ მთელი სამყარო დაიწყევლა“. ამით ჩვენ ვხედავთ, რომ გამჩენი სირცხვილისაგან უსულო ქმნილებასაც კი იცავს, რადგანაც ჩვენი თორა მოწყალეა, ლმობიერია. ჩვენც ასევე ვისწრაფით რა სრულყოფილებისაკენ, უნდა ვეცადოთ სრულვყოთ როგორც მცნებების შესრულება, ასევე ადამიანებთან ურთიერთობა. აი, სწორედ ესაა სამყაროს შექმნის მიზანი.

5771 (2010–11) წლის ებრაული დღესასწაულები

როშ ჰა შანა	— 9-10 სექტემბერი
ქიფური	— 18 სექტემბერი
სუქოთი	— 23-28 სექტემბერი
შმინი აცერეთი	— 29 სექტემბერი
სიმხათ თორა	— 1 ოქტომბერი
ხანუქა	— 2-9 დეკემბერი
თუ ბი შვათი	— 20 იანვარი
ფურიმი	— 20 მარტი
ფესახი	— 19-26 აპრილი
ჰოლოკოსტის დღე	— 1 მაისი
დამოუკიდებლობის დღე	— 9 მაისი
ლაგ ბა ომერი	— 22 მაისი
შაბუყოთი	— 8-9 ივნისი
9 აბის მარხვა	— 9 აგვისტო

დიდი საჩუქარი

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ 1 ივნისს თელ-ავივში გაიხსნა რესტავრირებული ბეით-ქნესეთის შენობა „ბეით მოშე“. იგი სემკ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა გაბრიელ მირილაშვილმა თავისი მამის — სემკ-ის პირველი პრეზიდენტის მოშე (მიშიკო) მირილაშვილის ხსოვნას მიუძღვნა.

მოშე მირილაშვილი ებრაულ სამყაროში ერთობ გამორჩეული პიროვნება გახლდათ. მას პატივს სცემდნენ, ყურს უგდებდნენ, სწორედ ამით და სემკ-ის ბოლო პერიოდში აქტიური მოღვაწეობით გახლდათ განპირობებული ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის დიდი მეცენატის ალექსანდრე მაშკევიჩის გადაწყვეტილება: მან მოშე მირილაშვილის პატივსაცემად „ბეით მოშეში“ სეფერთორა შეაბრძანა.

სეფერთორის შებრძანების ცერემონიალი 2 სექტემბერს გაიმართა. ესწრებოდნენ ისრაელელი პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწენი, ქართველი ებრაელობის წარმომადგენლები.

მარადი სოვნა



משה וינברג
מאמן היאבקות
בן 33 במותו
MOSHE WEINBERG
Coach,Wrestling



יוסף גוטפרוינד
שופט היאבקות
בן 40 במותו
JOSEPH GUTFREUND
Judge - referee,Wrestling

אליעזר חלפין
מתאבק
בן 24 במותו
ELIEZER HALFIN
Wresler



מרק סליבן
מתאבק
בן 18 במותו
MARK SLAVIN
Wresler



זאב פרידמן
מרים משקולות
בן 28 במותו
ZEEV FRIDMAN
Weightlifter



קהת שור
מאמן קליעה
בן 53 במותו
KEHAT SHOR
Coach, Shooting



יעקב שפרינגר
שופט הרמת משקולות
בן 50 במותו
JACOB SZPRINGER
Judge - referee,Wrestling



יוסף רומנו
מרים משקולות
בן 32 במותו
JOSEPH ROMANO
Weightlifter

יזכור ישראל את בניו ובנותיו הנאמנים והאמיצים - לוחמי המחתרות, חיילי צהל וחטיבות הלוחמים במערכות העם, ושליחיו למשימות לאומיות, אשר חירפו נפשם במלחמות על תקומת ישראל וכבודו.

יזכור ישראל ויתברך בזרעו, ויאבל על זיו - העלומים וחמדת - הגבורה וקדושת - הרצון ומסירות - הנפש, אשר נספו במערכותיו.

ספורטאי ישראל מרכינים את ראשם ביגון ובגאווה לזכר י"א חבריהם, אשר יצגו את ישראל באולימפיאדת מינכן בתשל"ב-1972, ונרצחו בידי זדים.

יזכור



דוד ברגר
מרים משקולות
בן 28 במותו
DAVID BERGER
Weightlifter

אנדריי שפיצר
מאמן סיוף
בן 27 במותו
ANDRE SPITZER
Coach, Fencing

עמיצור שפירא
מאמן אתלטיקה
בן 40 במותו
AMITZUR SHAPIRA
Coach, Athletics

1972 წლის 5 სექტემბერს მიუნჰენის მსოფლიო ოლიმპიადაზე დიდი ტრაგედია დატრიალდა: გამთენიის ხანს ოლიმპიურ სოფელში მცხოვრებ ისრაელის სპორტულ დელეგაციას პალესტინელი ტერორისტები დაესხნენ თავს.

ისრაელელი სპორტსმენები სროლის ხმამ გამოაღვიძა. შეპყრობილი ისრაელელი სპორტსმენები და მწვრთნელები ტერორისტებმა მძევლად აიყვანეს. 11 ებრაელი სპორტსმენის გადარჩენის სანაცვლოდ ტერორისტები ისრაელის ციხეში გამომწყვდეული 200 არაბი ტერორისტის განთავისუფლებას ითხოვდნენ, ასევე თხოულობდნენ ერთ-ერთ არაბულ ქვეყანაში გაფრენას.

მთელი დღის მოლაპარაკების შედეგად ტერორისტები დაყაბულდნენ ერთ-ერთ არაბულ ქვეყანაში გაფრენას, თან მიჰყავდათ მძევლები — ისრაელელი სპორტსმენები. ოლიმპიური სოფლიდან ყველანი ორ შვეულმფრენთან მიიყვანეს — ისრაელელი სპორტსმენები ტერორისტებს ხელებშეკრული და ერთმანეთზე გადაბმული მიჰყავდათ. როცა ორივე შვეულმფრენი ერთდროულად დაეშვა, რათა თვითმფრინავში გადამსხდარიყვნენ გერმანულმა სპეცრაზმმა სპორტსმენთა განთავისუფლების მიზნით გაუაზრებელი, უგერგილო ოპერაცია დაიწყო.

დაიღუპა 11 ისრაელელი მწვრთნელი და სპორტსმენი.

ებრაული კალენდრის ყოველ 26 თიშრეს აღინიშნება დაღუპულთა ხსოვნის დღე.

დსთ-ს და ბალტიის ქვეყნების „მაკაბის“ კლუბთა საპატიო პრეზიდენტმა მიხეილ როსიტანმა, რუსეთის „მაკაბის“, საპატიო პრეზიდენტმა, მსოფლიოს არაერთგზის, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. რაკიტამ, ევრ-აზიის და რუსეთის „მაკაბის“ კლუბთა პრეზიდენტმა მ. მირილაშვილმა და სხვებმა მიიღეს გადაწყვეტილება რუსეთის ქალაქებში ჩატარდეს ტერორიზმის მსხვერპლ სპორტსმენთა ხსოვნის დღეები. მათვე მიმართეს ებრაულ ორგანიზაციებს დავიწყება არ მისცენ ტერორიზმის მსხვერპლი სპორტსმენები.

იმასაც დავძენთ, რომ ისრაელის სპეცსამსახურებმა სპორტსმენებზე თავდამსხმელი არაბი ტერორისტები ევროპისა და აზიის სხვადასხვა ქალაქებში რომ ემალებოდნენ შურისძიებას, გაანადგურეს.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003